



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 913
04/05/2018

ქალაქი ბათუმი

913-05-4-201805041534



ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერისა და ზურაბ კაჭახმაძის - მერიის მძღოლის ახალციხის მუნიციპალიტეტში - რაბათში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 03 მაისის №6834/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი და ზურაბ კაჭახმაძე - მერიის მძღოლი, მივლინებული ვართ ახალციხის მუნიციპალიტეტში - რაბათში, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაგეგმილ „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგი“ - პირველ ყოველწლიურ ფორუმში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 04 მაისიდან 06 მაისის ჩათვლით.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტში - რაბათში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა ჰუნდაი ტუქსონი სახელმწიფო ნომრით LLZ-344 და გამოიყოს 120 ლიტრი საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილებამ (კ. ფუტკარაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა